პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
30 აპრილი
1944 წ.
№ 88 (7032)
ფასი 20 კაპ.

კოლმეურნეებო, აგრონომებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა, უზრუნველვყოთ მაღალი აგროტექნიკა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში! მივიღწიოთ მაღალ მოსავლიანობას, გავზარდოთ მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავალი! მეტი სურსათი მივცეთ ფრონტსა და ქვეყანას, მეტი ნედლეული—მრეწველობას. გაუმარჯოს საბჭოთა გლეხობას!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

ყველაფერი მფერზე სრული გამარჯვებისათვის!

სწორედ თხუთმეტი წლის წინათ, 1929 წლის 29 აპრილს, საკავშირო კომუნისტური პარტიის ბოლშევიკების XVI კონფერენციამ მიმართა საბჭოთა კავშირის ყველა მუშასა და მშრომელ გლეხობას მოწოდებით მიეწყოთ სოციალისტური შეჯიბრება. მაშინ იწყებოდა დიადი ეპოქა სტალინური ხუთწლედებისა, რომლებმაც ჩვენი სამშობლო ღრმად გარდაჰქმნეს და საბჭოთა კავშირი მძლავრ ინდუსტრიულ და საკოლმეურნეო სახელმწიფოდ გადააქციეს. მაშინ ეყრებოდა ფოლადის საძირკველი ჩვენი სამშობლოს საბჭოთა ძლიერება.

„შეჯიბრება და ხუთწლედი განუყრელად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან“, — ნათქვამი იყო საკავშირო კ. პ. (ბ) XVI კონფერენციის მიმართვაში. ასევე განუყრელად არის ერთმანეთთან დაკავშირებული შეჯიბრება და სამშობლოს დაცვა. სოციალისტურმა შეჯიბრებამ აამოძრავა მშრომელთა უღრმესი ფენები, გამოაელინა ხალხის ტალანტები, იგი აღმოჩნდა, როგორც ვარაუდობდა ჩვენი პარტია, მასების თაოსნობის გაღვიძების მძლავრი საშუალება. შეჯიბრება გახდა ახალი, საბჭოთა შრომითი დისციპლინის სკოლა, შრომის ნაყოფიერების აღმავლობის მძლავრი საშუალება. სოციალისტური შეჯიბრებიდან გაიზარდა სტახანოვური მოძრაობა, ამხანაგ სტალინის თქმით, — თანამედროვეობის ყველაზე უფრო სიცოცხლის უნარიანი და უძლეველი მოძრაობა.

მასების შრომითი ენტუზიაზმის დიად ნაყოფს, მშვიდობიანი მშენებლობის წლებში სოციალისტური შეჯიბრების ნაყოფს ჩვენი ქვეყანა ომის მკაცრ დღეებში იმკის. საბჭოთა სოციალისტურმა ეკონომიკამ უაღრესად მძიმე გამოცდას გაუძლო. წითელმა არმიამ მძლავრი დასაყრდენი ჰპოვა სოციალისტურ ინდუსტრიაში, საკოლმეურნეო წყობილებაში.

სამამულო ომის დღეებში სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო ფართო და მასობრივი გახდა, ვიდრე მშვიდობიან წლებში იყო. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საბჭოთა ადამიანების წმიდა პატრიოტული გრძნობები. სწორედ ომის დღეებში, 1942 წლის მაისში, წარმოიშვა მუშების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა ინტელიგენციის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. სრულიად საკავშირო შეჯიბრების ორი წელი არის ჩვენი ინდუსტრიის, ჩვენი ტრანსპორტის, ჩვენი სოფლის მეურნეობის გაუხუცესებელი ზრდის ორი წელი. ზურგის მშრომელები დაეხმარნენ წითელ არმიას გამანადგურებლად დეერტყა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისათვის და ეწარმოებინა შეტევა, რომელიც ომების ისტორიაში უმაგალითოა თავისი მასშტაბით. გმირი წითელი არმია და მამაცი სამხედრო-საზღვაო ფლოტი მთელი საბჭოთა ხალხის მხარდაჭერით წარმატებით ერეკებიან ფაშისტ მტაცებლებს ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა ისტორიული გამარჯვებანი. ეს გამარჯვებანი უნდა განვამტკიცოთ და გავამრავლოთ. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის საპირველმაისო მოწოდებებში საბჭოთა ხალხს მოუწოდებს ბრძოლისაკენ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების სრული განადგურებისათვის.

ომის წლებში სსრ კავშირში გიგანტურად გაიზარდა სამხედრო წარმოების მოცულობა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს საჭურველისა და საომარი მასალის, ტანკებისა და თვითმფრინავების გამოშვების შემდგომი გადიდებისაკენ. წარმოების გაფართოებას უნდა ახლდეს საბრძოლო ტექნიკის ხარისხის შემდგომი სრულყოფა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში სამხედრო ინდუსტრიის მუშაკებისადმი ნათქვამია: **„განუწყვეტლივ აუმჯობესეთ წითელი არმიის შეიარაღება“. „რაც უფრო მეტია კარგი ტანკი—მით უფრო ახლოა მტერზე გამარჯვების უამი!“. „დაუღალავად აუმჯობესეთ საბჭოთა თვითმფრინავები!“ „აფართოეთ მოტორების წარმოება, აუმჯობესეთ და გაზარდეთ თვითმფრინავების, ტანკების, ავტომობილებისა და გემების მოტორთა სიმძლავრე!“.**

სამხედრო ინდუსტრიისა და მთელი სახალხო მეურნეობის წარმატებითი მუშაობა დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული და სათბობ-ენერგეტიკული ბაზის შემდგომს განვითარებაზე და ტრანსპორტის ზუსტ მუშაობაზე. ამიტომ პარტია მოუწოდებს მუშათა კლასს გაადიდოს ნავთისა და ქვანახშირის მოპოვება, გააფართოოს ლითონის გამოდნობა, გაადიდოს ელექტროენერგიის წარმოება, სწრაფად ატაროს მატარებლები და გემები ჯარებიანად, სამხედრო და სახალხო-სამეურნეო ტვირთიანად, სწრაფად აღადგინოს რკინიგზის ტრანსპორტი, საზღვაო და სამდინარო ფლოტი გერმანელებისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე.

ახლა გაცხარებული მუშაობის დროა სოფლის მეურნეობაში. გაჩაღებულია საგაზაფხულო თესვა. მის სანიმუშოდ დამთავრებაზე დამოკიდებულია ყანების უხვი მოსავლიანობა. პარტია მოუწოდებს საბჭოთა გლეხობას: **„მეტი სურსათი მივცეთ ფრონტსა და ქვეყანას, მეტი ნედლეული — მრეწველობას“.**

მუშათა კლასსა და გლეხობასთან ხელიჩაკიდებული იბრძვის და შრომობს საბჭოთა ინტელიგენცია. იგი განუწყვეტლივ აუმჯობესებს წითელი არმიის შეიარაღებას, წარმოების ტექნიკასა და ორგანიზაციას. იგი მთელ თავის ძალებს ახმარებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. **„დაეხმარეთ მუშებსა და კოლმეურნეებს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომს აღმავლობაში, წინ წასწიეთ საბჭოთა მეცნიერება და კულტურა!“** — ამისაკენ მოუწოდებს საბჭოთა ინტელიგენციას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

მრავალი ათასი ქალაქი და სოფელი გაიწმინდა გერმანელი ოკუპანტებისაგან და დაუბრუნდა ჩვენს სამშობლოს. აღორძინების გზაზეა მეურნეობა და კულტურა განთავისუფლებულ მიწა-წყალზე. დონბასი ადიდებს ქვანახშირის მოპოვებასა და ლითონის გამოდნობას. კრივოროჟიე იწყებს რკინის მადნის მოპოვებას. ჩრდილო კავკასიის, დონისა და უკრაინის ასობით რაიონი წარმატებით აშთავრებს საგაზაფხულო თესვას. აღდგენითი მუშაობა კიდევ უფრო მაღალი ტემპით უნდა წარმოებდეს. პარტია მოუწოდებს მტრისაგან განთავისუფლებული რაიონების მშრომელებს: **„უფრო სწრაფად აღადგინეთ ჰიტლერელი ავაზაკების მიერ დანგრეული ქალაქები და სოფლები, მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი!“.**

ახლოვდება პირველი მაისი — მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღე. ჩვენი ქვეყანა აჯამებს შედეგებს საპირველმაისო შეჯიბრებისას, რომელიც ზურგის მშრომელთა ახალი წარმატებით დაგვირგვინდა. საპირველმაისო დღეების ერთერთი განსაკუთრებულად ბრწყინვალე და სასიხარულო მოვლენა არის ახალი ბრძმედისა და საკოქსო ბატარეის ამუშავება ნოვი ტაგილის მეტალურგიულ ქარხანაში. მაგნიტოგორსკის, ჩუსოვოის, ენაკიევოს, სტალინოს, ტულის ახალი და აღდგენილი ბრძმედების შემდეგ — ახალი ბრძმედი ტაგილში!.

შინსახკომის „ტაგილსტროის“ მშენებლებისა და ნოვოტაგილის კომბინატის მეტალურგებისადმი მისალმებაში, რომელიც დღეს ქვეყნდება, ამხანაგი სტალინი სწერს:

„ომიანობის დროის ძნელ პირობებში თქვენ მოკლე ვადაში შესძელით აგეგოთ და აგემოქმედებინათ ახალი მძლავრი აგრეგატები და უზრუნველგეყოთ, რომ ჩვენი ქვეყანა დამატებით იღებდეს ასიათასობით ტონა კოქსსა და თუჯს.

სამშობლო ღირსეულად შეაფასებს თქვენს შრომასა და თქვენს მიღწევებს“.

სამშობლო, წითელი არმია, ამხანაგი **სტალინი** მაღალ მეფასებას აძლევენ საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას ზურგში. მათი დევიზი იყო და არის სიტყვები, რომლებიც აღბეჭდილია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში: **„ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“.** პირველი მაისის დღეს პარტიის მოწოდება კვლავ კიდით კიდემდე მოეფინება საბჭოთა ქვეყანას.

საბჭოთა ხალხი და მისი გმირი წითელი არმია, რომლებსაც დიდი სტალინი წინამძღოლობს, სრულსა და საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებენ მტერზე!

„პრავდა“ 29 აპრილის მოწოდებიდან

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ა. წიკლაურის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. ილია ანდრიას-ძე წიკლაური საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1944 წ. 29 აპრილი. ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ზ. ნ. კეცხოველის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი დანიშნოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1944 წ. 29 აპრილი. ქ. თბილისი.

მოსკოვში დაინიშნა შვეიცარიის ახალი დელეგანი

ლონდონი, 29 აპრილი, (საკადესი). რეიტერის საააგენტო გადმოგვცემს შვეიცარიის რადიოს ცნობას, რომ შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი სტეფან სედერბლუმი დანიშნა შვეიცარიის ახალ დელეგანად მოსკოვში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

29 აპრილის ოპერატიული ცნობა

29 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

28 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 28 ტანკი, საპაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 71 თვითმფრინავი.

შავი ზღვის ფლოტის ხომალდები შრტყამენ მოწინააღმდეგის გემებს სევასტოპოლის რაიონში

შავი ზღვის ფლოტის ხომალდებმა სევასტოპოლის რაიონში ღამით აღმოაჩინეს მოწინააღმდეგის გემთა ორი ჯგუფი. ერთ ტრანსპორტზე ჩვენმა ხომალდებმა იერიში მიიტანეს კაზაჩის ბუხტიდან გამოსვლისას. მეორე ბადრაგი ორი ტრანსპორტის, ტრალერისა და სადგუშაგო კატერების შემადგენლობით აღმოჩენილ იქნა ხერსონესის შუქურას რაიონში და დასავლეთისაკენ მიდიოდა. ჩვენი ხომალდების დარტყმების შედეგად ჩაძირულია მოწინააღმდეგის 3 ტრანსპორტი დაახლოებით 11 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა. გარდა ამისა, ჩასძირეს ერთი საგუშაგო კატერი და დაზიანეს დაცვის სხვა გემები.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 შესაართის ნაწილებმა მოიგერიეს თოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის რამდენიმე იერიში. ამ ბრძოლაში მოსპობილია ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი და გერმანელთა 6 ტანკი. ჯავშანმტვრეველმა ცეიგელ აუხადიეემა დღის განმავლობაში დაზიანა გერმანელთა ორი ტანკი. სატყვიამფრქვევო ფენდმა გვარდიელ ივანე ფირსოვის მეთაურობით მოწინააღმდეგის ცეცხლში გერმანელთა ფლანგს შემოუარა. იმ დროს, როდესაც ჰიტლერელები იერიშზე გადმოვიდნენ, ჩვენმა მეტყვიამფრქვევეებმა ზურგში დაარტყეს მათ. იერიში ჩაიფუშა. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 120 გვამი.

გვარდიის მაიორ კატნოვის ქვეგანაყოფის საბჭოთა მფრინავები ბომბავდნენ მტრის თავმოყრილ ტანკებსა და ავტომანქანებს. ჩვენი ბომბდამშენები მზის მხრიდან მოეტანენ. უეცრად გამოჩნდნენ სამიზნის თავზე და მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მიაყენეს. დღის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ მოსპო გერმანელთა რამდენიმე ტანკი, 5 თვითმავალი ქვემეხი და 100-ზე მეტი ავტომანქანა ტვირთიანად. საპაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 13 თვითმფრინავი.

* * *

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტზე ჩვენი მოიერიშეები და ავიაგამანადგურებლები უფროსი ლეიტენანტების გრეხნიკოვის, საჭიზკოს და ლეიტენანტ ორდენის მეთაურობით თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის აეროდრომს. დაზვერვის ცნობებით აეროდრომზე იყო სხვადასხვა ტიპის 60 თვითმფრინავი. საბჭოთა მფრინავებმა, უეცარი და სწრაფი იერიშის შედეგად, მიწაზე მოსპეს გერმანელთა 11 თვითმფრინავი. გარდა ამისა, აეროდრომის თავზე მომხდარ საპაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 10 თვითმფრინავი

* * *

28 აპრილს ღამით ბარენცის ზღვაში აღმოჩენილ იქნა მოწინააღმდეგის ორი თვითმავალი კარუპაპი, რომლებიც ოთხი საგუშაგო კატერის მცველობით მიდიოდნენ. ჩვენი ტორპედოსანი კატერების რაზმმა კაპიტან-ლეიტენანტ ლოზოვსკის მეთაურობით იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე. იერიშის შედეგად ორივე კარუპაპი ჩაძირულია. საარტილერიო ცეცხლით დაზიანებულია გერმანელთა ერთი საგუშაგო კატერი.

* * *

მოგილიოვის ოლქის რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაგდო გერმანელთა 20-ზე მეტი სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია ბევრი ორთქმლმავალი და 300-მდე ვაგონი ჯარებიანად და ტვირთიანად. გარდა ამისა, საბჭოთა პატრიოტებმა ტანკსაწინააღმდეგო თოფების ცეცხლით მწყობრიდან გამოიყვანეს 12 ორთქმლმავალი. მოწინააღმდეგისთან ბრძოლებში პარტიზანებმა 200-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტეს.

* * *

ამ დღეებში ქალაქ სტანისლავის რაიონში წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა უნგრელ ჯარისკაცთა დიდი ჯგუფი. ტყვეებმა გვიამბეს: „ჩვენ ბრძანება მივიღეთ იერიში მიგვიტანა საბჭოთა პოზიციებზე. ჩვენს უკან მდებარე მაღლობზე გერმანელები განლაგდნენ. რუსები ყოველგვარი სახეობის იარაღის ცეცხლს გვიშენდნენ. იერიშში ჩაშალა და ჩვენ ჩაგწექით. გერმანელებმა, რომელთაც მაღლობი ეკავათ, იმწამსვე დაგვიშინეს. ამნაირად ჩვენ ორცეცხლშუა აღმოვჩნდით. ჯარისკაცებმა მოკლე გადარბენით თავი შეიფარეს ტანკსაწინააღმდეგო თხრილს და გადასწყვიტეს რუსების მხარეზე გადმოსულიყვნენ. ჩვენ 3 კაცი გავგზავნეთ უიარაღოდ მოლაპარაკებისათვის. მალე ჩვენი პარლამენტიორები საბჭოთა ოფიცრის თანხლებით დაბრუნდნენ. ჩვენ ჩავაბარეთ მას იარაღი და შეიარე ჯგუფებად გადმოვედით რუსების განლაგებაში“.

სხვა უბანზე წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა უნგრელთა მე-19 პოლკის მე-2 მეტყვიამფრქვევე ასეულის ჯარისკაცი. იგი მოვიდა საზიდრით და მოიტანა ორი ვარგისი დაზგის ტყვიამფრქვევი და 5 ათასი ვაზნა. გადმოსულმა განაცხადა: „მე არმიაში გამიწვიეს 1944 წლის 13 მარტს. გერმანელები თავაზიანულად ეარეკავენენ და აპარატებენ უნგრეთს. მე არ მინდოდა ჩემი სისხლი დამეღვარა ჰიტლერისათვის. თუ ომი საპაროა, მაშინ მე გერმანელებთან ერთად კი არ ვიომებდი, არამედ მათს წინააღმდეგ. მე მთელი სულითა და გულით მძულს გერმანელები, რომლებმაც უნგრეთი თავის კოლონიად გადააქციეს“.

* * *

ვინიცის ოლქის ქალაქ გაისინის მცხოვრებლებმა შეადგინეს აქტი გერმანელ ფაშისტა არამზადათა მხეცობის შესახებ. აქტში ნათქვამია: „ოკუპაციის განმავლობაში გერმანელმტარვალებმა დახვრიტეს და წამებით დახოცეს ქალაქ გაისინისა და გაისინის რაიონის 10 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. სიკვდილით დასჯა ხდებოდა ბელენდინკის მიჯნაზე გაისინის ხუტორებსა და ტყეში. მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი ხოცვა გრძელდებოდა გერმანელ ოკუპანტთა პარპაშის სულ უკანასკნელ დღედან. ჰიტლერელები თავიანთ მსხვერპლს მხეცურსა და სასტიკ წამებას აყენებდნენ. ტიმოთე პანჩუკი და პეტრე ბობური გერმანელებმა ცოცხლად დასწვეს. ინეინერი თადეოზ შერბა ჰიტლერელებმა ისე დაასახიჩრეს, რომ მისმა ოჯახმა მარტო თეთრეულის გადარჩენილი ნაფლეთებით გამოიცნო. გაისინის ხუტორებში გერმანელი ფაშისტი ავაზაკები 1944 წლის 14 თებერვალს ჭებში ჩაყრიდნენ მოზრდილებსა და ბავშვებს. ამ დღეს ჭებში დაიღუპნენ სტეფანე ტარლეკაი, ოლგა ლიხანოვა და მისი სამი ბავშვი, კოლმეურნე იაკობ იურკევიჩი, მისი ცოლი, სამი წლის ქალიშვილი გალია, ხუთი წლის ვაჟი ეორეი და სხვები. არასრული ცნობებით გერმანელებმა გერმანიის ტყვეობაში გაიტაცეს გაისინის რაიონის 3.200 მცხოვრები. ყველა ამ საშინელი ბოროტმოქმედების მთავარ დამნაშავეებად ჩვენ ვთვლით გერმანელ გებიტს ლომისარს ბეხერს, მის მოადგილეს ოტენბახერს და სასოფლო-სამეურნეო კომენდანტ გინზელს“.

აქტს ხელს აწერენ: დოქტორი ა. ორეხოვსკი, მღვდელი კ. ზარასიშკი, ქალაქის მცხოვრებნი — ფ. გალუზინსკი, ლ. შვარშტეინი, ა. გლავაცკი.

1943 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული აჩიან გორისა და ღაგოდეხის რაიონები

საქართველოს სსრ მიწსახკომში მიღებული სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ბენედიქტოვის დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ **გორის რაიონს,** რომელიც გამარჯვებულია საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის 1943 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიენიჭა მეორე ფულადი პრემია 150.000 მანეთის რაოდენობით.

მეორე ფულადი პრემია 150.000 მანეთის რაოდენობით მიენიჭა აგრეთვე **ლაგოდეხის რაიონს,** რომელიც გამარჯვებულია უხვი მოსავლისათვის 1943 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ფულადი პრემიები განკუთვნილია რაიონების იმ მუშაკთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, და კულტ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

უკანასკნელი ცნობები

პოლონელი რეაქციონერების ანგისაბჭოთა საქმიანობა თურქეთში

ანკარა, 28 აპრილი (საკადესი). უცხოეთის ჟურნალისტთა წრეებში ყურადღებას აქცევენ იმას, რომ უკანასკნელ დროს თურქეთში შესამჩნევად გააქტიურდა პოლონელი რეაქციონერი ელემენტების ანტისაბჭოთა საქმიანობა. ეთელ ამ საქმიანობას სტამბოლიდან ხელმძღვანელობს ეგრეთწოდებული პოლონეთის საელჩო თურქეთში, პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს (პატის) ფილიალის შემწეობით. პატის სტამბოლის ფილიალს პირდაპირი კონტაქტი აქვს გებელსის ორგანოებთან თურქეთში. პატის ბევრ „ცნობას“, რაც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ავრცელებენ თურქეთში არსებული გერმანელ ფაშისტთა საგენტოების ფილიალები.

სტამბოლში არსებული პოლონური საპროპაგანდო ცენტრი სცემს სხვადასხვაგვარ წოდებებს, ბროშურებსა და ბელეტრისტიკას, რომელთა ერთადერთი დანიშნულება არის უცხოელთა საზოგადოებრივი აზრისა და საზოგადოებრივი პოლიტიკური წრეების დეზინფორმაცია. გარდა ამისა, პოლონელთა რეაქციური ხროვა თავის ანტისაბჭოთა პროპაგანდისტულ საქმიანობაში იყენებს „ლიტერატურას“, რასაც დიდი რაოდენობით იღებს უცხოეთიდან.

პოლონელი რეაქციური ელემენტების ანტისაბჭოთა პროპაგანდა თურქეთში მარტო ამით როდი განისაზღვრება. პოლონეთის ანკარა ემიგრანტული საელჩოს და სტამბოლის საკონსულოს ყველა მოხელე სარგებლობს დიპლომატების მდგომარეობით და პირადად ეწევა ამგვარ საქმიანობას. სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული სისტემატურად წარმოებული კამპანიის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორია პოლონეთის პრეს-ატაშე ვერნერი. ვერნერის ანტისაბჭოთა საქმიანობა ფართოდ არის ცნობილი თურქეთის უცხოელ ჟურნალისტთა და პოლიტიკურ წრეებში. მისი პოლიტიკური ფიზიონომია საკმაოდ გარკვეული ხასიათდება იმ ფაქტით, რომ იგი იყო პოლონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ ბეკის სანდო პირი და პირადი მდივანი. საჭიროა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად პოლონელი რეაქციონერების მთელი ჯგუფისა, მათი პროპაგანდა საღდება უმთავრესად გერმანელ და პროგერმანულ გამოცემებში, რომლებიც სტამბოლსა და თურქეთის სხვა ქალაქებში იბეჭდება.

ვულონის დაბომბვა

ლონდონი, 29 აპრილი (საკადესი). რეიტერის საააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების მთავარ შტაბთან იმყოფება, იუწყება, რომ მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციის მძიმე ბომბდამშენებმა, ორშაბათს ბაზა იტალიაში აქვთ, დღეს დაბომბეს ტულონის (საფრანგეთის სამხრეთი სანაპირო) გემები და სანავსადგურო ნაგებობანი.

დაბომბვა კონცენტრირებული იყო. ბევრი ბომბი დააყარეს გემებს, რომლებსაც გერმანელთა ჯარების მოსამარაგებლად იყენებენ. ბომბებით დაზიანებულ იქნა აგრეთვე გერმანელთა წყალქვეშა ნავების საღგომი ადგილი. ნავსადგურში დიდი ხანძრები გაჩნდა და რამდენიმე აფეთქება მოხდა.

მდგომარეობა დანიაში

ბერლინი, 29 აპრილი (საკადესი). გაზეთი „ბერლინერ ბორზენ-ცეიტუნგ“ იუწყება, რომ გამოქცეულ დანიელთა სიტყვით, კოპენჰაგენსა და დანიის სხვა ქალაქებში გერმანელთა შეიარაღებული პატრულები გარს ერტყმიან მთელ ქუჩებს და ყველას ჩხრეკენ. გერმანელთა პატრულებს ეხმარებიან გესტაპოელები და შალბურგელები (დანიელი ფაშისტები). ქალაქების ქუჩებში შეშოდიან გერმანელთა ტანკები. მარტო უკანასკნელი დღეების განმავლობაში დაპატიმრებული იყო დაახლოებით 2 ათასი დანიელი. გერმანელთა ტერორის ახალ გაძლიერებას კოპენჰაგენის მოსახლეობამ უპასუხა დემონსტრაციით, რომელიც ერთსა და იმავე დროს მოხდა ქალაქის ყველა კინოთეატრში. დანიელი პატრიოტები დანიშნულ საათზე გამოცხადნენ კინოთეატრებში, თან მოიტანეს ჰიტლერზე შედგენილი კარიკატურიანი კინოოფენტები და წამოდგა მისცეს კინოოპერატორებს, ეს ლენტი ეჩვენებინა. სეანსის დასასრულს ეკრანებზე გამოჩნდა ლონდონ-ვაშინგტონ-მოსკოვ-ბეიჯინგ-ანკარა-ბუენოს-აირესის ბოლოს ბოლო ეტაპი. ეს ეტაპი ეხებოდა ანტიფაშისტურ ომს. ეკრანზე ასოებით ეწერა: „ეს ომი ომი ომია“



** მოქმედი არმია.** ბატარიამ, რომელსაც გვარდიის უფროსი ლეიტენანტი სემონოვი მეთაურობს, ამასწინანდელ ბრძოლებში მოხპო გერმანელთა 2 თვითმავალი ზარბაზანი „ფერდინანდი", 2 საარტილერიო ბატარია და მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ხედავთ: ელოდებიან კომანდას: „ცეცხლი!" ფოტო ლ. ველიკანინისა (საკ.ფოტოქრონიკა).

1-ლი მაისი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეა

აგიტაციური საუბარი

1944 წლის 1 მაისის საერთაშორისო დღე საბჭოთა ხალხი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე წითელი არმიის სახელოვან ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში ეგებება.

უკვე წელიწადნახევარია წითელ არმიას განუხრელად უპყრია ხელთ საომარი მოქმედების ინიციატივა და სულ უფრო და უფრო ზრდად დარტყმებს აყენებს ჰიტლერელთა ჯარებს. მან წარმატებით ჩაატარა 1942-1943 წლის ზამთრის კამპანია, მოიგო 1943 წლის ზაფხულის ბრძოლა, ძლევამოსილი შეტევა განავითარა 1943-1944 წლის ზამთარში.

1943 წლის 1 მაისის შემდეგ განვლილი წელიწადი ჩვენი საშობლოს ფარგლებიდან მტრის განდევნისათვის, საბჭოთა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის გადამწყვეტი ბრძოლების წელიწადი იყო. 1943 წლის ზაფხულში, კურსკთან და ორიოლთან ბრძოლაში ჩვენმა ჯარებმა არა მარტო ლიკვიდაცია უყვეს გერმანელთა შემოტევას, არამედ განადგურეს გერმანელთა დიდი ძალები და ძლევამოსილი შეტევა დაიწყეს დასავლეთისაკენ. დაამსხვრა ჰიტლერული სარდლობის იმედი გერმანელთა ჯარების ზაფხულის შეტევის წარმატებისა.

გერმანელებს იმედი ჰქონდათ, რომ შეაჩერებდნენ საბჭოთა ჯარების შეტევას დნეპრთან, არ გადაუშვებდნენ წითელ არმიას მარჯვენა ნაპირის უკრაინაში, მტკიცე პოზიციებს დიკავებდნენ დნეპრის გასწვრივ და თავს მოგვახვევდნენ ხანგრძლივ თავდაცვითს ომს.

მაგრამ დნეპრისათვის ბრძოლებში გერმანელთა სარდლობის ეს იმედიც დასამარდა. საბჭოთა ჯარებმა გადალახეს დნეპრი უდიდეს სიგრძეზე ელბინინგან ხერსონამდე, დამსხვრიეს მტრის თავდაცვა, ზამთრის კამპანიის განმავლობაში მტრისაგან გასწმინდეს თითქმის მთელი მარჯვენა ნაპირის უკრაინა.

წითელმა არმიამ „მეორე სტალინგრადი" მოუწყო გერმანელებს კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში, მან ფაქტიურად საკანდაგურა მტრის მე-6 არმია სნიგირიოვკა — ბერეზნეგოვატაის რაიონში, გარს შემოერტყა და მოსპო გერმანელთა დიდი დაჯგუფებანი რაზდელნაიას და ტარნოპოლის რაიონში.

ისტორიულ ბრძოლაში ლენინგრადისათვის შემტევმა საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს სიმაგრეთა ძლევამოსილი სისტემა, რომელსაც მტერი ორ წელიწადზე მეტ ხანს აგებდა და უვნებადი და მიუდგომელი ეგონა ეს სიმაგრეები.

ყირიმისათვის ბრძოლაში წითელმა არმიამ ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი მაღალი მხედრული ოსტატობა და იმის უნარი, რომ ცოცხალი არ გაუშვას მტერი ჩვენი მიწა-წყლიდან. მან ხელეთიდან გზა გადაუჭრა მტრის დიდ ძალებს ყირიმში, გაარღვია მტრის ძლიერი თავდაცვა პერეკოპთან, სივაშთან და ჭერჩოთან, გაანადგურა გერმანელთა და რუმინელთა არმიები და თითქმის მთელი საბჭოთა ყირიმი გაათავისუფლა ფაშისტ დამპყრობთაგან.

ზამთრის ბრძოლების განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა სამხრეთში საკანდაგურეს მტრის ურდოებისაგან კიევის, ჟიტომირის, კიროვოგრადის, ზაპოროჟიეს, დნეპროპეტროვსკის, ვინიცის, ნიკოლაევის, კამენეც-პოდოლსკის, ოდესის, როვნოს, ჩერნოვიცის ოლქები; ბრძოლებს ეწევიან უკრაინის რესპუბლიკის ტარნოპოლის, სტანისლავის, ლვოვისა და ვოლინის ოლქების გასათავისუფლებლად, ათავისუფლებენ საბჭოთა მოლდავეთს, ამთავრებენ ყირიმიდან მტრის განდევნას. თითქმის საკავშირო განთავისუფლებულია აგრეთვე ბელორუსიის რესპუბლიკის გომელისა და პოლესიეს ოლქები და ვიტებსკისა და მოგილიოვის ოლქების მთელი რიგი რაიონები. მთავრდება ლენინგრადის და კალინინის ოლქების გაწმენდა მტრისაგან.

მილიონობით საბჭოთა მოქალაქენი გათავისუფლებული არიან ფაშისტური ტყვეობიდან და ახლა თავდადებულად შრომობენ თავიანთი განთავისუფლებლის — წითელი არმიის დასახმარებლად.

წითელმა არმიამ საბჭოთა ქვეყანას დაუბრუნა დონეცის ქვანახშირი, კრივოროჟიეს მადანი, ნიკოპოლის მარგანეცი, უკრაინის ჰური.

დღეისათვის სამშობლოს დაუბრუნდა გერმანელების მიერ დაპყრობილი საბჭოთა მიწა-წყლის დაახლოებით 4/5.

წითელი არმიის დიადი გამარჯვებები შესაძლებელი გახდა საბჭოთა მეომრების ისტორიაში უმაგალითო გმირობის და საბჭოთა ოფიცრებისა და გენერლების გაზრდილი მხედრული ხელოვნების მეოხებით. ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი არმია, რომლის მორალური სულისკვეთება და მხედრული ოსტატობა ისეთ სიმაღლეზე მდგარიყო, როგორც წითელ არმიაში.

გერმანელებმა ვერ შეაჩერეს ჩვენი ჯარების შეტევა ვერც თავიანთი თავდაცვითი ნგებებით წყლის ზღუდეების გასწვრივ, ვერც თავიანთი კონტრიერიშებით. მტრის მიერ ეტომირის, კიროვოგრადის რაიონებში, ლუცკისა და ტარნოპოლის რაიონში წარმოებულმა კონტრიერიშთა და კონტრშეტევის ყველა ცდამ მარცხი განიცადა და კიდევ უფრო გაადიდა გერმანელთა ჯარების უდიდესი ზარალი.

გერმანელთა არმიას ვერ უშველა აგრეთვე წლევანდელი ზამთრისა და გაზაფხულის უგზოობამ, რაზედაც ჰიტლერელები ესოდენ დიდ იმედებს ამყარებდნენ. გმირმა წითელმა არმიამ მტრის ეს იმედიც დაამსხვრია.

თოვლსა და ნამქერშიც, გაზაფხულის ღრმა ტალახშიც სწრაფად მიიწევდნენ წინ საბჭოთა მეომრები და მთელი ჩვენი მძლავრი საბრძოლო ტექნიკა — საბჭოთა ტანკები, არტილერია, ჯავშნიანი მანქანები, საბარგო მანქანები.

წითელმა არმიამ უცილობლად დაამტკიცა, რომ მას შესწევს უნარი შეუტიოს ზამთარშიც და ზაფხულშიც, გაზაფხულზეც და შემოდგომაზეც, ყოველ ამინდში და ყოველ პირობებში.

უკრაინის 1-ლი და მე-2 ფრონტების მამაცი ჯარები, ომენლიც შეტევას ავითარებდნენ, გავიდნენ ჩვენს სახელმწიფო საზღვარზე ჩეხოსლოვაკიასა და რუმინეთთან და საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრის სრულ აღდგენას, საზღვრისა, რომელიც 1941 წელს ვერაგულად დაარღვიეს ჰიტლერელმა გერმანიამ და მისმა თანამონაწილეებმა—რუმინეთმა, უნგრეთმა, ფინეთმა.

ჩვენი ვალია სავსებით და საბოლოოდ გაანადგუროთ გერმანელ ფაშისტთა არმია და მოვსპოთ ჰიტლერული სამხედრო მანქანა. ტერი სულ მთლად უნდა გავანადგუროთ, რათა მან ვეღარ ავნოს ვერც ჩვენს ხალხს, ვერც მსოფლიოს სხვა ხალხებს, რათა მან ვეღარ მოიკრიბოს ახალი ძალები და ვეღარ დაიწყოს ახალი შემოკრა ჩვენს ქვეყანაში. ამ მიზნით საბჭოთა ჯარები გადავიდნენ ჩვენს სახელმწიფო საზღვარზე და მტერს რუმინეთის ტერიტორიაზე ებრძვიან.

წითელი არმიის გამარჯვებათა მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია იმიტომ, რომ ეს გამარჯვებანი მოპოვებულია ჩვენი ჯარების მიერ გერმანიის სამხედრო მანქანასთან პირისპირ ბრძოლაში, რადგან ჰიტლერული გერმანიისა და მისი ვასალების ძირითადი ძალები დღემდე თითქმის სავსებით საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზეა თავმოყრილი.

კიდევ უფრო უიმედო იქნება ჰიტლერული გერმანიის მდგომარეობა, როცა თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მტრისათვის წითელი არმიის მიერ აღმოსავლეთიდან მიყენებული გამანადგურებელი დარტყმები შეუერთდება მოკავშირეთა არმიების შეტევას მტრის წინააღმდეგ ევროპის საშრეთში და დასავლეთში. მიუხედავად ჰიტლერელთა ყველა ხრიკისა და მათი ცდებისა განხეთქილება შეიტანონ მოკავშირეთა ბანაკში, თავისუფლებისმოყვარე ხალხები ახლა ისე არიან გაერთიანებული და დარაზული ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც წინათ არასოდეს არა ყოფილან.

წითელი არმიის გამარჯვებებმა ფაშისტურ სახელმწიფოთა ბლოკის ფაქტიური რღვევა გამოიწვიეს. ჰიტლერულმა გერმანიამ მოახდინა თავისი „მოკავშირე" უნგრეთის ტერიტორიის ოკუპაცია, როგორც წინათ ოკუპაცია უყო იტალიას. რაც შეეხება რუმინეთს, ის უკვე დიდი ხანია აღარ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ფაქტიურად აგრეთვე ოკუპირებულია ჰიტლერელთა ჯარების მიერ. გერმანიამ ჩიხში მოამწყვდია თავისი ერთმორწმუნენი, გაანადგურებელი ომის ასპარეზად გადააქცია მათი მიწა-წყალი და თავის საზარბაზნე ხორცად გახადა მათი ჯარისკაცები.

გერმანელების მიერ ოკუპირებულ ევროპის ქვეყნებში სულ უფრო და უფრო ძლიერდება ორგანიზებული და შეიარაღებული წინააღმდეგობა გერმანელი დამპყრობლებისადმი. იუგოსლავიის გმირი ხალხისა და მისი მარაგი სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შემდეგ ფაშისტური მონობისაგან თავიანთი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად ირაზმებიან პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საბერძენთის, ჰოფრანგეთის, ჰოლანდიის, დანიის, ნორვეგიის თავისუფლებისმოყვარე ხალხები.

წითელი არმიის მხარდამხარ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულად იბრძვიან პოლონელთა არმია, ჩეხოსლოვაკია ბრიგადა, იუგოსლავიელთა ბატალიონი და ფრანგთა საავიაციო ნაწილი „ნორმანდია".

ევროპის ხალხები ხედავენ, რომ თუ ჰიტლერული გერმანია მსხვერპლად სწირავს მის მიერ ომში ჩათრეული ქვეყნების ხალხებს, წითელი არმია ძმური დახმარების ხელს იწვდის ევროპის დამონებულ ხალხებს და ეზად არის დაეხმაროს მათ ნაციონალური განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

საბჭოთა ჯარების დიადი გამარჯვებანი, რომლებმაც უფსკრულის პირას მიიყვანეს გერმანია, აგრეთვე ინგლის-ამერიკის ავიაციის დარტყმები ფაშისტური გერმანიის სამხედრო ობიექტებზე, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეზღვაურთა ბრძოლა ზღვაში ფაშისტ მეკობრეთა წინააღმდეგ, მოკავშირეთა ჯარების მომზადება ევროპაში შესაჭრელად აღფრთოვანებს ევროპის დამონებულ ხალხებს ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის და აიძულებს ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურების ჟამს.

სამამულო ომის ფრონტებზე წითელი არმიის გამარჯვებები შესაძლებელი გახდა ზურგში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის გმირული, თავდადებული შრომის მეოხებით.

სამამულო ომი უაღრესად მკაცრი გამოცდაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ასეთ გამოცდას გაუძლებდა მხოლოდ დიადი ხალხი, კეთილშობილური, მაღალი მიზნებით აღფრთოვანებული ხალხი, მხოლოდ მტკიცე და ურღვევი საბჭოთა წყობილება. ცარიზმის დროის ომებისაგან განსხვავებით ჩვენმა ქვეყანამ არ იცის, რა არის სამეურნეო რღვევა, საბჭოთა ხალხმა შეჭმნა მძლავრი და აწყობილი, განუხრელად და სწრაფად ზზრდი სამხედრო მეურნეობა.

სამშობლოსათვის, ჩვენი ხალხის თავისუფლებისათვის და ბედნიერებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგას საბჭოთა კავშირის გმირული მუშათა კლასი. „ჩვენი პრეზიდენტის მუშები დაწესებულ სახელმწიფო გეგმებს ვადამდე ასრულებენ მთლიანად და გადაჭარბებით, მწყობრში შეჰყავთ ახალი ქარხნები, ბრძმედები და ელექტროსადგურები, განთავისუფლებულ რაიონებში უმაგალითოდ მოკლე ვადებში აღადგენენ ოკუპანტების მიერ დანგრეულ ინდუსტრიას. მუშათა კლასის გმირული ღონისძიებანი კიდევ უფრო განამტკიცებენ წითელი არმიის სამხედრო-მატერიალურ ბაზას და ამით აახლოებენ ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს" (სტალინი).

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასთან ერთად სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა გლეხობას. ომიანობის დროის დიდი სიძნელეების მიუხედავად, ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამარაგებენ ჩვენს არმიას და მოსახლეობას სურსათით, ხოლო მრეწველობას ნედლეულით, ამარაგებენ ისე, რომ სეროზული შეფერხება არა ხდება.

გერმანელ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ საბჭოთა მიწა-წყალზე გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო შემოქმედებითი მუშაობა ჰიტლერელი ყაჩაღების მიერ დანგრეული მეურნეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა აღსადგენად.

ფრონტზე ჩვენი გამარჯვებებისა და ზურგში წარმატებების წყარო ის არის, რომ მაორგანიზებელი და წარმმართველ ძალას ჩვენს სახელმწიფოში წარმოადგენს ბოლშევიკების დიადი პარტია, რომ საბჭოთა ხალხის ბრძოლას ხელმძღვანელობს დიდი სტალინი, რომელსაც გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისაკენ მიჰყავს ჩვენი საბჭოთა სამშობლო.

ახლოვდება ჰიტლერელთა ჯარებზე ჩვენი სრული და საბოლოო გამარჯვების ჟამი. მტერი ზედიზედ განიცდის დამარცხებას და გარღვეული დალუპვისაკენ მიქანდა.

მაგრამ საბჭოთა ხალხს ახსოვს ამხანაგ სტალინის სიტყვები:

„ომების ისტორიაში ჯერ არა ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მტერი თვითონ გადავარდნილიყოს უფსკრულში. ომი რომ მოვიგოთ, საჭიროა მოწინააღმდეგე მივიყვანოთ უფსკრულთან და შიგ გადავეხეთოთ".

მტერი წინააღმდეგობას გეწევიან სასოწარკვეთილოდ დაჭრილი მხეცის სასოწარკვეთილებით. იგი ებღაუჭება ყოველ მეტრ მიწას, ყოველ ზღუდეს, რომ გადასცეს თავისი დალუპვის ჟამი. გერმანელებს ჯერ კიდევ ცოტა ძალები რადი ჰყავთ, და ისინი თავს უყრიან ამ ძალებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის გადამწყვეტ უბნებზე იმ იმედით, რომ შეაჩერონ ჩვენი შეტევა. ცოტა ღონისძიება რადი დაგვჭირდება, რომ გავტეხოთ მტრის წინააღმდეგობა, განვდევნოთ იგი მთელი საბჭოთა მიწა-წყლიდან და საბოლოოდ გავანადგუროთ გერმანელ დამპყრობთა არმიები.

ჩვენ დიდი სამამულო ომის გადამწყვეტი ბრძოლებისაკენ მივდივართ. ჩვენთვის არ არსებობს იმაზე უფრო წმიდა საქმე, როგორც დაუცხრომელი შრომა ფრონტის დასახმარებლად, იმისათვის, რომ წითელი არმია იარაღის, საბრძოლო მასალების, საჭურველისა და სურსათის ოდნავ ნაკლებობას არ განიცდიდეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველმა საბჭოთა მშრომელმა—მუშამ, კოლმეურნემ, მეცნიერმა, ინჟინერმა, აგრონომმა უნდა გაამრავლოს თავისი ძალა და ენერგია ფრონტის დასახმარებლად და დაუცხრომლად სრულჰყოს თავისი შრომითი ოსტატობა. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანების მოვალეობაა კიდევ უფრო აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, გაადიდონ მრეწველობის პროდუქცია და კიდევ უფრო აამაღლონ მისი ხარისხი, უზრუნველჰყონ უხვი მოსავალი, გაადიდონ პირუტყვის სულადობა, კიდევ უფრო მეტი ენერგიით აშენონ ახალი საწარმოები და აღადგინონ გერმანელების მიერ დანგრეული მეურნეობა.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ გამარჯვების გზაზე ბევრი სიძნელე და დაბრკოლებაა. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს სიძნელეებისა არ ეშინიათ. მათ შეიძინეს ომის ძნელ პირობებში მუშაობის უდიდესი გამოცდილება.

საბჭოთა ხალხს ესმის, რომ უხვი მოსავლის მიღება, სამრეწველო პროდუქციის ზრდა, განთავისუფლებულ რაიონებშიც მეურნეობის სწრაფი აღდგენა ისევე მნიშვნელოვანია გამარჯვების მისაღწევად, როგორც ომის ასპარეზზე ბრძოლების მოგება.

ახლოვდება დღე, როდესაც წითელი არმია დიდი სტალინის წინამძღოლობით საბოლოოდ განდევნის გერმანელ ოკუპანტებს საბჭოთა მიწა-წყლიდან და ყველა ჩვენს ქალაქსა და სოფელში კვლავ ძველებურად აფრიალდება დიდი საბრძოლო საგმირო საქმეების დიდებით მოსილი საბჭოთა წითელი დროშა.

ახლოვდება დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები თავისუფლებისმოყვარე სხვა ხალხების შეიარაღებულ ძალებთან ერთად განახორციელებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრულ და საბოლოო განადგურებას და მკვიდრ საფუძველს ჩაუყრიან მსოფლიოს ხალხთა მეგობრობას, თავისუფლებასა და ბედნიერებას.

გაუმარჯოს 1 მაისს—მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს! მშრომელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის საბრძოლველად!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, მის გმირ წითელ არმიას და სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებიც წარმატებით სდევნიან ფაშისტ მტაცებელს ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ, გერმანელ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის და ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან მათი განდევნისათვის!

ლენინგრადელები მშობლიური ქალაქის აღდგენაზე

23 აპრილს ათასობით ლენინგრადელნი — მუშები და მოსამსახურეები მაწყვლებლები და მოსწავლეები, პროფესორები და დიასახლისები — გამოვიდნენ კვირაობაზე, რომელიც მოეწყო სახლების აღსადგენად, მოედნებისა და ქუჩების დასაწმენდად და წესრიგში მოსაყვანად.

მოსკოვის განიერ გზატაეიცლზე, დიდი ბარიკადების გადაღმა იქ, სადაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ თავდაცვის ხაზი გადიოდა, მუშაობდა მოსკოვის რაიონის 1.500-ზე მეტი მშრომელი. 1 მაისისათვის აქ ტრამვაის უნდა გაიაროს.

ათასობით მშრომელი მუშაობდა ქალაქის სხვა რაიონებშიც.

დაიწყო ფეხსაცმლის კომბინატ „სკოროხოდის" აღდგენა, რომელიც უდიდესია ჩვენს ქვეყანაში. წარმოებაში შრომითი დღის დამთავრების შემდეგ, მეფეხსაცმელეები გერმანელების მიერ დანგრეული საწარმოს აღდგენაზე მუშაობენ. უკვე დამთავრდა სამკერვალო სამქროს მოწყობა და გამოშვებულია სამოდელო ფეხსაცმლის პირველი პარტია. (საკ.ფოტო).

დეპეშები

ჩერჩილის გამოსვლა საიმპერიო პოლიტიკის საკითხზე გამართულ კამათში

ლონდონი, 21 აპრილი (საკ.ფოტო). თემთა პალატაში ორ დღეს სწარმოებდა კამათი ბრიტანეთის საიმპერიო პოლიტიკის საკითხზე. როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, დღეს ჩერჩილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მთავრდება აღნიშნული კამათი. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ კამათში დასმული იყო საკითხები იმის შესახებ, თუ რა ცვლილებანი უნდა მოხდეს ერთა ბრიტანული თანამეგობრობისა და იმპერიის პოლიტიკურ, ეკონომიურსა და თავდაცვითს სტრუქტურაში, თავისუფალი ვაჭრობისა თუ პროტექციონიზმის საკითხი, მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის საკითხი, ვალუტის საკითხები და სხვ. „არც ერთს საღადმოაზროვნე ადამიანს,—სთქვა ჩერჩილმა,—არ შეუძლია მოელოდეს, რომ ჩვენ გადავჭრით ყველა ამ მსოფლიო პრობლემას იმ დროს, როცა ჩვენ საკუთარი არსებობისათვის ვიბრძვით. ჩვენ სულგრძელნი უნდა ვიყოთ, ჩვენ საპართლიანი უნდა ვიყოთ მომავლისადმი. ჩვენ ჩვენს შთამომავლობასაც უნდა ვარგუნოთ ზოგი რამ, რათა იმათაც შეეძლოთ იზრუნონ თავიანთი უშიშროებისათვის".

ჩერჩილმა აღნიშნა, რომ იგი საიმპერიო პრეფერენციათა მომხრეა და განაგრძო:

„ნიუფაუნდლენდთან შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჩემი პირველი შეხვედრის დროს, ეგრეთწოდებული ატლანტიკის ქარტიის ხანებში და ომში შეერთებული შტატების ჩაბმამდე (ეს შეხვედრა შეეხებოდა მეტად მშფოთვარე და კრიზისულ საკითხებს), მე ვითხოვე ატლანტიკის ქარტიაში შეეტანათ შემდეგი სიტყვები, რომლებიც შეიძლება წავიკითხოთ ამ დოკუმენტში: „თავის არსებულ ვალდებულებათა სათანადოდ დაცვით". ეს მალმიტებელი სიტყვა-ნაგი ნა ისინი შეტანილ იქნენ სპეციალურად იმ მიზნით, რომ თემთა პალატას და დომინიონებს შერჩენოდათ ზათი მაქსიმალური სრული უფლებანი და თავისუფლება საიმპერიო პრეფერენციათა საკითხში.

1942 წლის თებერვალში, როცა შეერთებული შტატები ჩვენი ყველაზე მახლობელი მოკავშირე გახდნენ, მე არ დავთანხმდი ურთიერთდახმარების შეთანხმების მე-7 მუხლზე, სანამ პრეზიდენტისაგან წინასწარ ხრ მიეიღე გარკვეული დაპირება იმის თაობაზე, რომ ჩვენ მოვალენი არა ვართ გავაუქმოთ მფარველობითი ტარიფები.

ომისშემდგომ უახლოეს წლებში ვაჭრობის მოცულობის გადიდებისა და ვაჭრობის უფრო ჰარმონიული მსვლელობის უზრუნველყოფის მეთოდთა დამუშავების მიზნით დისკუსიის ჩატარების შესახები შეთანხმება ჩვენ ყოველმხრივ სავსებით თავისუფალს გვტოვებს, რამდენადაც ეს შეეხება მოქმედებას".

„პირადად მე დარწმუნებული ვარ,—სთქვა ჩერჩილმა,—რომ უნდა მოხდეს გულმოდგინე შემოქმედებითი დისკუსია ომისშემდგომი მსოფლიოს თაობაზე და უნდა განხორციელდეს გულწრფელი ცდები დაპირისპირებულ ინტერესთა შესარიგებლად ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია. გულწრფელად უნდა ვისწრაფოდეთ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის საქონლისა და ურთიერთ სამსახურის გაცვლა-გამოცვლისაკენ და ყოველ ქვეყანაში ცხოვრების დონის გაუმჯობესების იმ პროცესისაკენ, ურომლისოდაც ბაზრების გაფართოება შეუძლებელია და ურომლისოდაც მთელი მსოფლიოს აყვავება ისეთ ოცნებას წარმოადგენს, რომელიც ადვილად შეიძლება კოშმარად იქცეს".

ჩერჩილმა აღნიშნა ბრიტანეთის იმპერიისა და ერების ბრიტანული თანამეგობრობის ერთიანობის განმტკიცება და სთქვა:

„აუჩქარებლად უნდა შემუშავდეს ერების თანამეგობრობის ხალხთა ისეთ მჭიდრო საბჭოდ გაერთიანების მეთოდები, რომელიც მსოფლიო მოვლენათა მსვლელობას განიხილავდა არა მარტო ომის დროს (ეს ხდება დიდი ბეჯითობითა და ეფექტიანობით), არამედ ომის შემდეგაც, იმ ეარაუდით, რომ დომინიონები სავსებით იცნობდნენ ჩვენს ზედგმარეობას და რომ ჩვენ ვიცნობდეთ მათს მდგომარეობას იმ მოვლენათა და მოქმედების მსვლელობის მხრივ, რომლებიც შეიძლება ამის შედეგი გახდნენ. დასმულია საკითხი, უნდა იარსებოს თუ არა მუდმივი მექანიზმა, საიმპერიო თავდაცვის კომიტეტის მსგავსმა, მაგრამ უფრო დიდი მასშტაბით, ბრიტანეთის იმპერიის მუდმივი კომიტეტის მსგავსმა რამემ. უნდა გავიცლდეს თუ არა მისი ფუნქციები საზღვაო, ეკონომიურ და საფინანსო საქმეებზე და რამდენად? ეი, მაშასადამე, საკითხები, რომლებიც შესწავლილ უნდა იქნას დომინიონების პრემიერ-მინისტრთა მომავალ კონფერენციაზე".

ჩერჩილი მხარს უჭერს დომინიონების პრემიერ-მინისტრთა ხშირ შეხვედრას. „როცა კვლავ დადგება მშვიდობიანობა (ხოლო ჩვენ უნდა ვეეჭვროთ ღმერთს, რომ ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს),—განაცხადა ჩერჩილმა,—დომინიონების პრემიერ-მინისტრთა კონფერენციები, დომინიონებისა, რომელთა შორის, როგორც ჩვენ გვწამს, ინდოეთიც იქნება, და რომლებთანაც დაკავშირებული იქნებიან კოლონიები, როგორც ჩვენ ვიმედოვნებთ, ხშირი და რეგულარული მოვლენა და ჩვენი ყოველწლიური დღესასწაული იქნება. ზოგიერთი ფიქრობს, რომ აუშორებელია თანდაყოლილი ანტაგონიზმი მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ მომართულ მსოფლიო წესრიგსა და ვრცელ ფედერალურ ორგანიზაციას შორის, რომელიც გარდუვალად იარსებებს". „მე,—სთქვა ჩერჩილმა, — არ ვფიქრობ, რომ ეს სწორი იყოს. როგორც მსოფლიო წესრიგს, ისე დიდ ორგანიზაციასაც შეუძლიათ ისეთი ფორმები ჰქონდეთ, რომლებიც ერთი გიგანტური მთელის ნაწილებად გახდიან მათ".

„მე,—სთქვა ჩერჩილმა,—არასოდეს არ მიფიქრია, რომ შეერთებულ შტატებთან ძმური კავშირი ოდნავად ეწინააღმდეგება ერთა ბრიტანული თანამეგობრობის და იმპერიის ერთიანობას, ანდა რომ ეს არაკეთილმოსურნეობას წარმოშობს ჩვენს დიდ რუს მოკავშირეში, რომელთანაც ჩვენ დაკავშირებული ვართ 20-წლიანი ხელშეკრულებით. მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა ავირჩიოთ ან ეს ან ის. სიბრძნის, მოთმინების, ინერციისა და მმაცობის მეოხებით ჩვენ შეგვიძლია მაჭიმუმი სარგებლობა მივიღოთ, როგორც ერთიდან ისე მეორიდან".

ბადოლიოს მთავრობა — გადანყვეტილებანი

ლონდონი, 28 აპრილი (საკ.ფოტო). რეიტერის საგენტო იუწყება, რომ ბადოლიოს ახალმა კაბინეტმა 27 აპრილს პირველ სხდომაზე დაამტკიცა უპორტფელო მინისტრების კროჩეს, სფორცას და ტოლიატის მიერ შეტანილი წინადადებანი. წინადადებანი სამი პუნქტისაგან შესდგება: 1) იტალიის სამხედრო ღონისძიებათა განმტკიცება; 2) ადმინისტრაციის გაწმენდა ფაშისტური ელემენტებისაგან; 3) იტალიის გზების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწესრიგება.

კონსტიტუციის შეცვლის საკითხი, მთავრის მონარქიის მომავლის საკითხი, განხილული არ იქნება დამფუძნებელი და საკანონმდებლო ასამბლეის არჩევამდე. ეს ასამბლეა, რომელიც თავისუფალ უნდა იქნეს არჩეული საყოველთაო კენჭისყრით, შესძლებს გადასწყვიტოს პრობლემა ხალხის ნების შესაბამისად.

კონფრაბანდისტული ორგანიზაციის აღმოჩენა სტამბოლში

ანკარა, 28 აპრილი (საკ.ფოტო). სტამბოლში აღმოჩენილია ორგანიზაცია, რომელიც ვალუტის კონტრაბანდას ეწეოდა. გერმანის ბანკ „დოიჩე ბანკის" სტამბოლის განყოფილების რამდენიმე თანამშრომელი, რომელთაც მოისყიდეს თურქეთის ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე, დიდი რაოდენობით ყიდულობდა უცხოეთის ვალუტას შავ ბირჟაზე და ეკონონო გზით აწარმოებდა მის გადაყიდვას საზღვარგარეთ.

უცხოეთის ჟურნალისტთა წრეებში გადმოგვცემენ, რომ ამ საქმეში ჩარეული პირნი დაკავშირებული არიან გესტაპოსთან და რომ ისინი თავიანთი მოქმედებით ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ თურქეთის ეკონომიური კეთილდღეობისათვის მისი ფინანსების მოშლის გზით. აღნიშნულ წრეებში გამოსთქვამენ რწმენას, რომ ამ დიდ ბოროტმოქმედებაში ნამდვილი დამნაშავენი და მისი მთავარი სულისჩამდგმელნი შეეცდებიან ყოველგვარი საჭირო ზომის მიღებას, რომ ჩრჩოეცხებელნი დარჩნენ და რომ მხოლოდ მეორეხარისხოვანი პირები დაისაჯონ. თურქეთის ორგანოებმა დაამთავრეს ამ საქმის ბამოძიება, რომელიც სასამართლოს გადაეცემა გასარჩევად.

საბოტაჟი გერმანიის სამხედრო ქარხნებში

ლონდონი, 28 აპრილი (საკ.ფოტო). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, სბოტაჟმა, რომელსაც უცხოელი მუშები ახორციელებენ გერმანიის საწარმოებში, ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ ჰიტლერელები იძულებული გახდნენ ლაპარაკი დაიწყოთ „უცხოეთის პარტიზანულ არმიაზე გერმანიაში". გერმანული ენის უცოდინარობა ან ცუდად ცოდნა სრულ შესაძლებლობას აძლევს უცხოელ მუშებს, რათა იმ საბაბით, რომ მათ ვერ გაიგეს ბრძანება, სხვადასხვა შეცდომა ჩაიდინონ, რასაც შედეგად მოსდევს წუნის ზრდა საწარმოებში. ძალიან ხშირად ამ ქარხნებში, რომლებშიც უცხოელი მუშები მუშაობენ, „გაურკვეველი მიზეზებით" მწყობრიდან გამოდიან მანქანები, ფართოდ არის გავრცელებული აგრეთვე მუშაობის განზრახ შენელებული ტემპები. საგენტო აღნიშნავს, რომ არსებული ცნობების თანახმად, რამდენიმე მუშა, რომელთაც საბოტაჟი ბრალდებოდათ, ჰიტლერელებმა საჯაროდ დასაჯეს სიკვდილით.

ფრანგი ხალხის ბრძოლა ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ

გაფიცვები ქვანახშირის მრეწველობაში

ლონდონი, 27 აპრილი (საკ.ფოტო). რეიტერის საგენტოს ცნობით, უკანასკნელ ხანს საფრანგეთის სხვადასხვა რაიონებში ხდებოდა ფრაგი მუშების გაფიცვები. ალიეს დეპარტამენტში „მიურ ალეიონის" შახტების 2.500 მუშა გაიფიცა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ხელისუფალთ განზრახვა ჰქონდათ ძალად გაეგზავნათ გერმანიაში 140 მეშახტე. ხელისუფალნი იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ამ განზრახვაზე. ლუარის დეპარტამენტში რამდენიმე ათასმა მეშახტემ, რომლებიც უკვე გაფიცული იყვნენ გასულ თვეში, ამას წინათ კვლავ გაპოაცხადეს გაფიცვა ომასთან დაკავშირებით, რომ მათ ჯარიმა დაადეს წინა გაფიც